ნუგზარ ბარდაველიძე, ირაკლი ჯავახიშვილი

ეკლესია, საბაზრო ეკონომიკა და საერთო კეთილდღეობა

ნუგზარ ბარდაველიძე
სტუ-ს პროფესორი,
ირაკლი ჯავახიშვილი
სტუ-ს მაგისტრანტი

კათოლიკე ეკლესიის სოციალური დოქტრინა ემყარება რწმენას, რომ პიროვნებები არიან სოციალური არსებები, რომლებიც ბუნებრივად ისწრაფვიან საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ. სოციალური დოქტრინა განვითარდა ორიათასი წლის განმავლობაში, რომელიც პასუხობდა სახარების პრაქტიკული შედეგების გაგებას და ცვლილებებს საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებში.[1] თანამედროვე ეპოქამდე, ეკლესიის ხედვაში სოციალური საკითხის ეკონომიკური განზომილება შედარებით პრიმიტიული იყო; მისი ყურადღების ცენტრში იდგა ისეთი პოლიტიკური საკითხები, როგორებიცაა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, მმართველობის შეზღუდვები, რელიგიური თავისუფლება და ა.შ.

მე-19 საუკუნეში, სოციალიზმის გამოწვევამ უბიძგა პაპ ლეონ XIII-ს, რომ ყურადღება გაემახვილებინა თანამედროვე ეკონომიკურ საკითხებზე თავის ცნობილ ენციკლიკაში *Rerum Novarum* (1891წ). ეკონომიკურ საკითხებზე მსგავსადვე წერდნენ მისი მემკვიდრეები – პიუს XI, იოანე XXIII და იოანე პავლე II. მათი ენციკლიკები იცავდა ეკლესიის მორალური ტრადიციის ზოგიერთ ელემენტს – კერძო საკუთრების უფლებას, სამართლიანი ხელფასის უფლებას, ოჯახის მთლიანობას – სოციალიზმისა და სტატიზმის სხვა ფორმათა საპირისპიროდ. ზოგიერთი ენციკლიკა ორიენტაციას ახდენდა ბიზნესის გარკვეულ ასპექტებზე, თუმცა არ არსებობდა თანამედროვე საზოგადოებაში კერძო წარმოების როლზე ფოკუსირება. რეალურად, არ არსებობდა ბიზნესის სისტემური თეორია, რომელიც დაუპირისპირდებოდა კანონისა და მმართველობის თეორიას.

ყოველგვარი სახის ბიზნესი არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაში. ამასთანავე, ასეთი ბიზნესი – ან კორპორაცია – შედგება პიროვნებებისაგან, რომლებიც ცდილობენ, რომ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიისა და ოპერაციების განსაზღვრაში. ბიზნესის ბუნება მჟღავნდება პიროვნებათა ერთიანობაში, რომლებიც მას ახორციელებენ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელს კათოლიკური სოციალური ტრადიცია ხედავს როგორც მთლიანს, პიროვნებებს, მათ ოჯახებსა და სხვა გაერთიანებებს შორის ურთიერთობათა ქსელს,[2] ხოლო საზოგადოების საერთო კეთილდღეობა უნდა იყოს კონსტრუქციული, რაც გულისხმობს იმ პირობათა არსებობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას.[3]

ახალ მსოფლიოში წარმოიშვა ახალი ტენდენცია: დახვეწილი კომერციული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის შექმნას და განაწილებას და უპრეცედენტო მასშტაბის მომსახურებას. თუმცა, იმთავითვე კათოლიკე ეკლესია სკეპტიკურად უცქერდა ამ სისტემის სამართლიანობას. თანამედროვე ეკონომიკურ სინამდვილეს კრიტიკულად განიხილავდა პაპი იოანე პავლე II თავის ენციკლიკაში *Centesimus Annus*(1991წ). ეკლესიის ხედვით, ბიზნესის წარმატების საბოლოო საზომი არც სარგებლის ზღვარი და არც მისი წილების საბაზრო ფასია, არამედ მისი ნამდვილი წარმატება მდგომარეობს ადამიანურ საჭიროებებში, რომელთაც მისი საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს – მუშათა, მომხმარებელთა, ინვესტორთა და სხვათა საჭიროებების ჩათვლით. ამ აზრით, ბიზნესი არ უნდა იყოს უბრალოდ ტექნიკური სარგებელი, არამედ ნამდვილად მორალურიც. მორალურად ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა უნდა იყოს ქმედითი და ეფექტიანი. მსგავს აზრს ახმოვანებდა კარდინალი რაცინგერი (შემდეგში პაპი ბენედიქტე XVI): "მორალი, რომელიც ირწმუნება, რომ გავრცელდება ეკონომიკური კანონების ტექნიკური ცოდნით, არ არის მორალი, არამედ მორალიზმია. როგორც ასეთი, ის მორალის ანტითეზისია. მეცნიერულ მიდგომას, რომელიც ირწმუნება, რომ ძალუძს მართვა ეთოსის გარეშე, არასწორად ესმის ადამიანის სინამდვილე. ამიტომაც ის არაა მეცნიერული. დღეს ჩვენ გვესაჭიროება სპეციალიზებული ეკონომიკური გაგების მაქსიმუმი, მაგრამ ასევე ეთოსის მაქსიმუმი, ისე რომ სპეციალიზებული ეკონომიკური გაგება

[1] შდრ. *ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი*, 72-74.

[2] იქვე, 185.

[3] შდრ. იოანე XXIII, ენციკ. *Mater et Magistra*, 65.

ჩადგეს სწორი მიზნების სამსახურში".[4]

ბაზარზე ახალ შესაძლებლობებს ქმნის მწარმოებელი, რომელიც მეტად შემოქმედებითია. ეკლესია ასწავლის, რომ ქრისტიანი მწარმოებელი თავის სამუშაოს უნდა ასრულებდეს საერთო კეთილდღეობის ცნობიერებით. ბიზნესისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ გამორჩეულად საუბრობდა პიუს XII, რომელმაც რომის პონტიფექსთა შორის პირველმა გამოიყენა სიტყვა 'მეწარმე'. ბიზნესისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან შეფასებას აკეთებდა იოანე პავლე II. *Centesimus Annus*-ში პაპი საუბრობდა თავისუფალი შრომის, წარმოებისა და მონაწილეობის საზოგადოებაზე. ცოტა ხნით ადრე კი, ენციკლიკაში *Sollicitudo Rei Socialis*(1987წ), ჭეშმარიტ ადამიანურ განვითარებაზე საუბრისას იგი აღნიშნავდა, რომ "გულუბრყვილო მექანისტური ოპტიმიზმი", რომელმაც შთააგონა 1960-იანი წლების განვითარების გეგმები და პოლიტიკური პროგრამები, ჩაანაცვლა "კაცობრიობის ბედისწერის ძლიერმა წუხილმა".[5] ამ წუხილს მრავალი მიზეზი იწვევდა, რომელთა შორის უმთავრესი აჩვენებდა, რომ ეკონომიკურმა ზრდამ ვერ უზრუნველყო მორალური გაუმჯობესება: "...თავად "ეკონომიკური" კონცეფცია, ამ სიტყვის განვითარებასთან კავშირში, შევიდა კრიზისში. ფაქტობრივად, დღეს არსებობს უკეთესი გაგება, რომ საქონლისა და მომსახურების უბრალო დაგროვება, თუნდაც უმრავლესობის სარგებლისათვის, არაა საკმარისი ადამიანური ბედნიერების განსახორციელებლად".[6]

საერთო კეთილდღეობის მახასიათებელი ინსტრუმენტები უნდა იყოს კორპორაციები. კორპორაცია არის ერთობა, რომლის წევრებსაც შეუძლიათ კოლექტიურად შეიტანონ წვლილი საზოგადო სიკეთეში. ამასთანავე, ბიზნესში მონაწილეობით კორპორაციაში მომუშავეებს ერთმანეთის მიმართ უჩნდებათ ვალდებულებები. კორპორაციის სოციალური ფუნქცია უნდა უზრუნველყოფდეს მასში მონაწილე პიროვნებათა შეხვედრას, თანამშრომლობას და მათ შესაძლებლობათა ზრდას. ეს უკანასკნელი აგრეთვე უნდა გულისხმობდეს კორპორაციულ წარმოებაში მონაწილეთა სიტყვის უფლებასა და შესაძლებლობას. როგორც *Gaudium et Spes* განმარტავს: "ეკონომიკურ წარმოებაში ერთიანდებიან პიროვნებები, ანუ თავისუფალი და ავტონომიური ადამიანები, ღმრთის ხატად შექმნილნი. ამიტომ საჭიროა ყოველი მათგანის მოვალეობების გათვალისწინება – იგულისხმება როგორც მესაკუთრენი, ასევე ის, ვინც სამუშაოს იძლევა, როგორც ხელმძღვანელები, ასევე აღმასრულებელი მუშაკები – და მართვის საქმეში ერთიანობის შენარჩუნება. ამის საფუძველზე ყველას საშუალება უნდა მიეცეს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში, სათანადო წესების შესაბამისად".[7]

საერთო კეთილდღეობის ცნებასთან თანმიმდევრული პოზიცია უკავია აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციას. კორპორაციული წარმოება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული და მართული, რომ ემსახურებოდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს. აქციონერთა პირველობის ნორმა საუკეთესო საშუალებაა ძლიერი საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად. იმავე აზრს იზიარებს კორპორაციის კათოლიკური ხედვის ძლიერი მხარდამჭერი, მაიკლ ნოვაკი, რომელიც ხაზს უსმევს ეკონომიკურ თავისუფლებას. მართალია აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციის ნორმა არ ეწინააღმდეგება კათოლიკურ სოციალურ ხედვას, თუმცა ჯერ კიდევ 1931 წელს, ენციკლიკაში *Quadragesimo Anno,* პაპი პიუს XI გაფრთხილებას იძლეოდა, რომ "თავისუფალი კონკურენცია და განსაკუთრებით ეკონომიკური ბატონობა... უნდა მოექცეს გარკვეულ და შესაბამის საზღვრებში".[8] კორპორაციის უზომო სარგებელი სიხარბეს აქცევს ღირსებად, ხოლო სიმდიდრის შეძენა ხდება მისი ერთადერთი მიზანი, რაც იწვევს მატერიალისტური კულტურის სულიერ სიცარიელეს და ძირს უთხრის საერთო კეთილდღეობას. ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი შეგვახსენებს, რომ "წარმოების ყველა მონაწილემ უნდა იზრუნოს, რომ საზოგადოება, რომელშიც მუშაობენ, წარმოადგენდეს სიკეთეს ყველასათვის და არა სტრუქტურას, რომელიც უშვებს ზოგიერთის უბრალოდ პირადი ინტერესების დაკმაყოფილებას. მხოლოდ ამგვარი შეგნება ხდის შესაძლებელს ისეთი ეკონომიკის შექმნას, რომელიც ჭეშმარიტად კაცობრიობის სამსახურშია და შრომის სხვადასხვა მონაწილეთა შორის ნამდვილი თანამშრომლობის პროგრამების შექმნას".[9]

კათოლიკურ ფასეულობებთან დაკავშირებული ბიზნესსამყარო განსაზღვრავს, თუ რა არის

[4] Ratzinger, J.(1986), "Church and economy: responsibility for the future of the world economy", Communio, 13: 199-204.

[5] იოანე პავლე II, ენციკ. *Sollicitudo Rei Socialis*, 27.

[6] იქვე, 28.

[7] ვატიკანის II კრება, სამოძღ. კონსტ. *Gaudium et Spes*, 68.

[8] პიუს XI, ენციკ. *Quadragesimo Anno*, 132-133.

[9] *კომპენდიუმი*, 339.

საშუალება და რა – მიზანი. აქვე წარმოდგენილია კერძო საკუთრების ხედვა, რომელსაც საზღვრებს უწესებს მსახურების პრინციპი. ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის ასევე საჭიროა ფართო ინსტიტუციური არეალი, ვინაიდან "საბაზრო ეკონომიკა არ შეიძლება წარმართულ იქნას ინსტიტუციურ, იურიდიულ და პოლიტიკურ ვაკუუმში. პირიქით, იგი გულისხმობს ინდივიდუალურ თავისუფლებას და კერძო საკუთრებას, სტაბილურ ვალუტას, ეფექტურ საზოგადოებრივ სამსახურებს".[10]

კათოლიკური ტრადიცია ასწავლის, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ადამიანური სიკეთეები, რომელთა წარმოებაც ბაზრებზე შეუძლებელია. თუმცა თუკი თავს იჩენს კულტურის პრობლემა, მაშინ საქმე გვაქვს კონსუმერიზმთან. ბაზრები არ წარმოშობენ კონსუმერიზმს, არსებობს ისეთი საქონელი, რომელიც ბაზრებს გარეთ იწარმოება: კულტურული განახლება, რომელიც ხელს უშლის კონსუმერიზმის ფართოდ გავრცელებას, საზღვრებს უწესებს ბაზრებს. პაპი იოანე პავლე II აღნიშნავდა ხედვას, რომლის თანახმადაც მატერიალური საქონლის პოტენციალს ხელი უნდა შეეწყო ადამიანთა კეთილდღეობისათვის. საკვებისა და თავშესაფრის ადამიანური საჭიროება არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს მატერიალური საქონლის სარგებელს. კონსუმერიზმის წყარო შეიძლება იყოს თვითონ კულტურა; სწორედაც "მოცემული კულტურა აჩვენებს ცხოვრების თავისეულ საერთო გაგებას იმ არჩევანთა საშუალებით, რომელთაც ის აკეთებს წარმოებასა და მოხმარებაში. სწორედ აქაა, რომ იზრდება კონსუმერიზმის ფენომენი".[11] ამის საპირისპიროდ, რეფორმირებული კულტურა ბაზარს არ ათავსებს საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში, არამედ აყენებს ჭეშმარიტი ადამიანური კეთილდღეობის სამსახურში.

ბიზნესსისტემა ზრდის საზოგადოების სიმდიდრის შესაძლებლობას. ქრისტიანულ ტრადიციაში სიმდიდრე არაა გაგებული უბრალოდ როგორც ფული, არამედ როგორც მატერიალური საქონლის სიუხვე. სიმდიდრის შექმნა უნდა პასუხობდეს ადამიანის შრომას და აკმაყოფილებდეს პიროვნების საჭიროებებს. ბიზნესს არ აქვს მონოპოლია ადამიანის ნაყოფიერ შრომაზე. სიმდიდრის შექმნა შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ სეგმენტს, მაგრამ ბიზნესი თავისი ბუნებით ორიენტირებულია სიმდიდრის შექმნის საქმიანობაზე. ეკლესია აცნობიერებს, რომ როცა კარგად-მართული ბიზნესი საქონელს ქმნის თავისი წევრებისა და მომხმარებლებისათვის, ის აგრეთვე ზრდის საზოგადოების შესაძლებლობას, რომ შექმნას საყოველთაო კეთილდღეობა.

კომუნიზმის კრახისა და გლობალიზაციის ახალი ფაზის შემდეგ, მსოფლიო მომსწრე გახდა კომერციულ საზოგადოებათა განვითარებისა აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. ამ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბიზნესმა და წარმოებამ. და მაინც, საკუთრებისა და ტექნოლოგიის ნამდვილმა აფეთქებამ, ეთიკურმა მარცხმა და მძიმე ფინანსურმა კრიზისებმა წარმოშვა სკეპტიციზმი ბაზრების როლის შესახებ და კითხვის ქვეშ დააყენა ბიზნესის თანამედროვე გაგება. როგორც პაპი ბენედიქტე XVI წერდა: "დღეს საერთაშორისო ეკონომიკა სერიოზული დარღვევებითა და ხარვეზებით ხასიათდება, ამიტომ საჭიროა წარმოების ახლებური გააზრება. ძველი მოდელები ქრება, თუმცა ჰორიზონტზე ახალი იმედისმომცემი მოდელები ჩნდება. ყველაზე დიდ საფრთხეს საწარმოთათვის ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ის, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან თავიანთ ინვესტორთა წინაშე და ამრიგად კარგავენ საზოგადოებრივ მნიშვნელობას".[12]

ბოლო რამდენიმე ათეულ წელიწადში ბიზნესეთიკის ერთ-ერთ დომინანტურ მოდელად იქცა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტზე. კორპორაციებს აქვთ სოციალური პასუხისმგებლობა სარგებლის მიღმა და მათი ოპერაციებით გამოწვეული უარყოფითი გარე ფაქტორებისადმი ყურადღების პასუხისმგებლობა. კორპორაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საკუთარ ქმედებათა უნებლიე შედეგებს და იქცნენ საზოგადოების ინტეგრალურ ნაწილად მისადმი ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობებით. 2008 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისისა და ადრეულ 2000-იან წლებში კორპორაციათა ეთიკური ნაკლოვანების ფონზე, აშკარად გაიზარდა ბიზნესისათვის განახლებული ეთიკური განზომილების საჭიროება. 2010 წელს ლისაბონში პაპი ბენედიქტე აღნიშნავდა: "გასული ორი თუ სამი წლის მოვლენებმა ცხადყო, რომ ეთიკური განზომილება უნდა შევიდეს ეკონომიკურ საქმიანობაში. ახლა დროა ვიხილოთ, რომ ეთიკა არაა რაღაც გარეგანი, არამედ შინაგანი ეკონომიკური რაციონალურობისა და პრაგმატიზმისთვის".[13]

[10] *კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო*, 2431.

[11] იოანე პავლე II, ენციკ. *Centesimus Annus*, 36.

[12] ბენედიქტე XVI, ენციკ. *Caritas in Veritate*, 40.

[13] ბენედიქტე XVI, *ქადაგება სასახლის მოედანზე ლისაბონში*, 11 მაისი, 2010 წ.

მაშინ როცა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოძრაობა რამდენიმე ათწლეულს ითვლის, ბიზნესის იდეა, როგორც "პიროვნებათა საზოგადოება" (*Centesimus Annus*, 35), რომელიც ღრმადაა ფესვგადგმული უფლებებისა და მოვალეობების მქონე საზოგადოებაში, კათოლიკური ტრადიციის ნაწილია.

დასკვნა

ამგვარად, ეკლესიის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებათა შესაბამისად თანდათან შეიცვალა, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს ეკლესიის სოციალური დოქტრინის ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის თვალთახედვით, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, სრულიადაც არ არის ცალსახად უარყოფითი ფენომენი. უბრალოდ საჭიროა მისი ფუნქციონირება მორალურ ჩარჩოებში მოექცეს, რამაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს ადამიანურ საჭიროებათა ოპტიმალური დაკმაყოფილება. ამ გამოწვევიდან გამომდინარე, ეკონომიკა უნდა პასუხობდეს თანასწორობის, სოლიდარობისა და სუბსიდიარობის პრინციპებს. იგი უნდა მოქმედებდეს იმგვარად, რომ განუხრელად მხარს უჭერდეს სახელმწიფოთა ინკლუზიურ პოლიტიკას, რაც გახდება რეალური წინაპირობა საერთო, საყოველთაო კეთილდღეობის საფუძვლებისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შდრ. *ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი*, 72-74
2. იქვე, 185
3. შდრ. იოანე XXIII, ენციკ. *Mater et Magistra*, 65
4. Ratzinger, J.(1986), 'Church and economy: responsibility for the future of the world economy', Communio, 13: 199-204
5. იოანე პავლე II, ენციკ. *Sollicitudo Rei Socialis*, 27
6. იქვე, 28
7. ვატიკანის II კრება, სამოძღ. კონსტ. *Gaudium et Spes*, 68
8. პიუს XI, ენციკ. *Quadragesimo Anno*, 132-133
9. *კომპენდიუმი*, 339
10. *კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმო*, 2431
11. იოანე პავლე II, ენციკ. *Centesimus Annus*, 36
12. ბენედიქტე XVI, ენციკ. *Caritas in Veritate*, 40
13. ბენედიქტე XVI, *ქადაგება სასახლის მოედანზე ლისაბონში*, 11 მაისი, 2010წ.

THE CHURCH, MARKET ECONOMY AND COMMON GOOD

NUGZAR BARDAVELIDZE
Professor of GTU,
IRAKLI JAVAKHISHVILI
MA student of GTU

Social doctrine of Catholic Church relies on the belief that human beings are social creatures who tend to live in society naturally. Social Doctrine has developed for two thousand years that responded to understanding practical implications of Gospel and changes in cultural, political and economical dimensions of living in society. Papal encyclicals defended some elements of Church's moral tradition - the right to private property, the right to just wage, integrity of family – in opposition to socialism and other forms of statism. Some encyclicals focused on some aspects of business but there is no focus on the role of private production in modern society that would oppose to law and governance theory.

In modern time Church's view is focused on market economy importantly that must be associated with common good of all people. Market should not represented as an institutuion where is unlimited competition and freedom but it should be a place that benefits all - as minority as majority too. If this principle is broken, as the Church sees is, then common good is in danger.

ЦЕРКОВЬ, РЫНОЧНАЯ ЭКОНОМИКА И ВСЕОБЩЕЕ БЛАГОСОСТОЯНИЕ

НУГЗАР БАРДАВЕЛИДЗЕ
ИРАКЛИ ДЖАВАХИШВИЛИ

Социальная доктрина католической церкви основана на вере в то, что личность является социальным существом, по своей природе стремящейся к общественной жизни. Социальная доктрина развивалась на протяжении двух тысяч лет, отвечая пратическому пониманию Евангелия и переменам в общественной жизни, которые происходили в области культуры, политики и экономики. Папские энциклики защищали отдельные элементы моральных традиций церкви – право на частную собственность, право на справедливую оплату труда, семейные ценности (в противовес другим формам социализма и статизма). Некоторые энциклики оказывали воздействие на ряд аспектов бизнеса, хотя и не существовало фокусирования на роли частных предпринимательств в обществе. В реальности не существовало и системной теории бизнеса, которая могла бы противостоять теории закона и права.

В современную эпоху во взглядах церкви важную роль занимает рыночная экономика, которая должна быть связана с благосостоянием каждого отдельного человека. Рынок более не должен представлять собой институцию, где не ограничена конкуренция и где действует полный произвол. Более того, рынок должен стать местом, приносящим всеобщую прибыль, как большинству, так и меньшинству. Если этот принцип будет нарушен, тогда, как считает церковь, опасность угрожает всеобщему благосостоянию.